3.3 ბანკის წინაშე კლიენტის ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც კლიენტის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, კლიენტს უფლება აქვს, ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, ბანკის ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვის გზით, ასევე ბანკის ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით კლიენტი არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, კლიენტის ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს კლიენტის ფულადი ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

3.4 კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით ბანკმა დააკავოს კრედიტის (ოვერდრაფტის) თანხიდან ან/და ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშიდან, (თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები ან/და უზრუნველყოს მათი გადარიცხვა დამზღვევისათვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კრედიტის თანხა სრულად ათვისებულია კლიენტის მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, ბანკი უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს კრედიტის მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.

3.5 მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი კლიენტის ფულადი სახსრების ბანკში არსებობის ან/ განთავსების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტის წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და კლიენტის იცინიატივით კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლიენტის მიერ ბანკისთვის მიმართვის საფუძველზე.

3.6 პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვის გაგრძელება. ხელშეკრულების შეწყვეტის (როგორც ვადამდე, ისე ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო) შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კლიენტი ვალდებული იქნება სხვა გადასახდელებთან ერთად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით

აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომ დარიცხული პირგასამტეხლოს და საპროცენტო სარგებლის თანხები.

3.7 თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე უზრუნველყოფის საგანი გადმოეცემა **ბანკს**, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციამდე **პროცენტის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მთლიან დავალიანების თანხაზე, დავალიანების სრულად დაფარვამდე. ამასთან, **ბანკის** მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაბამისი წილით შემცირდება დავალიანება, ხოლო დანარჩენილ დავალიანებაზე, კვლავ გაგრძელდება/ შენარჩუნდება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

3.8 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფის საგნის **ბანკისთვის** გადაცემის (ნებაყოფლობით ან გადახდევინების მიქცევის გზით) მიუხედავად, უზრუნველყოფის საგნის გასხვისებასა და ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე, გაგრძელდეს/ შენარჩუნდეს **პროცენტის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა დავალიანების სრულ ოდენობაზე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.9 **მოთხოვნის წარდგენის და გადახდევინების მიქცევისას ქონების არჩევითობა.** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი პირის მიმართ. ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს **ბანკის** მხრიდან უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებაზე** უარის თქმად და **ბანკს** უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პირ(ებ)ის ქონებაზე.

3.10 გადახდევინების მიქცევისას **კლიენტის** რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

3.11 თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დასაფარად (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად კრედიტის ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების თანხების გადახდისთვის): (ა) **კლიენტი** დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე); (ბ) **ბანკი** უფლებამოსილია, გადახდევინება მიაქციოს **კლიენტის** ნებისმიერ სხვა ქონებაზე. იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ყიდვის ფასი იქნება **ბანკის** მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით **ბანკის** მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ **ბანკის** მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფილ კრედიტორად.

3.12 თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის/გადახდევინების მიქცევის ეტაპისთვის ვერ ხდება უზრუნველყოფის საგნის მოძიება, მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა, ნებისმიერი ადმ. ორგანოს მიერ, ქონების საქართველოს საზღვრის კვეთა და ა.შ) **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) **კლიენტისგან** შესაბამისი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენა ან (ბ) **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულების სრულად დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან.

3.13 **ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ან ცალმხრივად შეწყვეტა.** **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება** ან/და მოთხოვოს **კლიენტს** კრედიტის თანხის (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან **დაკავშირებული გადასახდელების**, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა **კანონმდებლობით, გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.14 **კრედიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები.** **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ: (ა) თუ **კლიენტის** შემოსავლები **კრედიტის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში **კლიენტს** გააჩნია სავალუტო რისკები შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა **კრედიტის** შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) **კლიენტს** შეიძლება გაეზარდოს **კრედიტზე** გადასახდელი თანხები თუ **კრედიტი** გაცემულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით; (გ) **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის **კრედიტის** ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკმა** შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის **ბანკმა** მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა (გ.ა) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ნებმისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (გ.ბ) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (გ.გ) **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა; (გ.დ) მოითხოვოს **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი

მართვა (სეკვესტრი);(გ.ე) კლიენტის ნებისმიერი ქონების ან/და უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის რეალიზაცია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

3.15 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ ხელშეკრულების ცვლილება: (ა) განპირობებულია ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან (ბ) ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, რაზედაც მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან (გ) არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

3.16 კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას მიაწოდოს ხელშეკრულების პირობების ცვლილებების, ასევე სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ ინფორმაცია დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეებს (მათ შორის უზრუნველყოფის საშუალების მესაკუთრეებს, თავდებ პირებს, გარანტორებს და სხვა), ასევე ხელშეკრულების სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თანამსესხებლებს).

3.17 დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება. კლიენტი გამოხატავს თანხმობას და ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს ხელშეკრულების ნებისმიერ კლიენტს (თუ რამდენიმე კლიენტი), ასევე დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) ხელშეკრულება, (ბ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) გარემოებების შესახებ ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, (გ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის ანგარიშიდან მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკს დაამუშაოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით.

3.18 მონიტორინგი. კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, ბანკმა კლიენტთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიავლინოს კლიენტის საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე ბანკის თანამშრომელი ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი ოვერდრაფტის მიზნობრიობის შემოწმების და მონიტორინგის, ასევე კრედიტის დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.

შხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. კანონმდებლობის შესაბამისად სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლება გათვალისწინებულია ხელშეკრულების თავსართით, კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, ბანკის ფილიალში (მათ შორის სათაო შენობაში, მდებარე თბილისში, ჭავჭავაძის გამზ 74-ში), სერვის ცენტრში მისვლის გზით, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, წერილობითი და ხელმოწერილი განცხადებით, უარი თქვას სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე გაფორმებიდან (ან მიღებიდან, თუ ხელშეკრულებას მომხმარებელი გაფორმების შემდეგ მიიღებს) 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს უარის თქმის მოთხოვნა, თუ იგი არ ხორციელდება კანონმდებლობის, ხელშეკრულების, ბანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურის შესაბამისად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტმა მატერიალურად ხელმოწერილ განცხადებაში არ მიუთითა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: კლიენტის სახელი-გვარი/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, უარსაყოფი ხელშეკრულების: დასახელება, თარიღი, ნომერი. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობის პროცესში გასათვალისწინებული დამატებითი პირობები:

3¹.1. უარის თქმის უფლება არ ვრცელდება: ისეთ კრედიტზე, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და ფინანსური გირავნობით, ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით ან/და მოძრავი ქონებით (გარდა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით უზრუნველყოფილი კრედიტებისა), მიუხედავად უზრუნველყოფაზე შეთანხმების თარიღისა, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის დაფიქსირების შემდგომ მოხდება შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენა ან/და გაფორმება, კლიენტი არ იქნება უფლებამოსილი ისარგებლოს უარის თქმის უფლებით.

3¹.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულია კრედიტის თანხის ტრანშებად გაცემა, ყოველი ახალი ტრანშის გაცემა არ იწვევს უარის თქმის უფლების და ამ უფლების რეალიზებისთვის დადგენილი

შესაბამისი ვადების განახლებას, შესაბამისად **კლიენტი** ვალდებულია აღნიშნული უფლებით სარგებლობის მიზნით უარი თქვას არა მხოლოდ ცალკეულ ტრანშზე, არამედ **ხელშეკრულებაზე** სრულად.

3¹.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ კონკრეტულ კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმა ამავდროულად ავტომატურად არ გულისხმობს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაზე** (შეიძლება მოხსენიებულ იქნას ასევე როგორც - **გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება**) უარს. აქედან გამომდინარე, თუ კი იარსებებს რომელიმე **დაკავშირებული ხელშეკრულება** (მათ შორის შესაბამისი გირავნობის ხელშეკრულებები), რომელიც უზრუნველყოფს **გენერალურ საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებას** ან/და არ უკავშირდება იმ კონკრეტულ გარიგებას, რომელზეც უარს აცხადებს **კლიენტი**, **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ი** დატოვოს ძალაში.

3¹.4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **ბანკისათვის ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით უარის თქმის შესახებ მიმართვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ხელშეკრულებით** განსაზღვრული და მასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და გადასახდელების **ბანკისთვის** სრულად გადახდა: სანოტარო ხარჯები და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაწესებული გადახდილი/გადასახდელი თანხები, **პირგასამტეხლო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების (მათ შორის მიმდინარე შენატანის განხორციელების ვალდებულების) შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის, **კრედიტის** ძირითადი თანხა, **კრედიტის** სარგებლობის პერიოდში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დარიცხული და გადაუხდელი **პროცენტი/ახალი ბარათის/მასწავლებლის ახალი ბარათის შემთხვევაში - ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო**. **კრედიტის** სარგებლობის პერიოდად ითვლება **კრედიტის** დამტკიცების დღიდან, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ყველა გადასახადისა და გადასახდელის **ბანკისთვის** სრულად გადახდის დღის ჩათვლით პერიოდი. **კლიენტი** ასევე ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** გადაცემული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გაუგებრობის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ უარის თქმის უფლებამდე გადახდილი თანხა **კლიენტს** უკან არ უბრუნდება; ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები გამომანგარიშდება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დარიცხული **პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ან/და სხვა ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად. **კლიენტის** მიერ უარის თქმის უფლებით სარგებლობისთვის **ხელშეკრულებით** და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ყველა ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და **ხელშეკრულების** ამავე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესების შესაბამისად გაუქმების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე არ ექნება მიმდინარე ფულადი ვალდებულებები (მათ შორის სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები), **კლიენტს** დაუბრუნდება **ბანკისთვის** გადახდილი მხოლოდ ისეთი სახის საკომისიო თანხები, რომლის **კლიენტის** მიერ გადახდის ვალდებულებაც **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების რეალიზების შედეგად აღარ იარსებებს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3¹.5. **კლიენტისთვის** აგრეთვე ცნობილია და ეთანხმება, რომ მიუხედავად **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის თაობაზე **ბანკისთვის** წერილობითი უარის დაფიქსირებისა, უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის აუცილებელი ვალდებულებ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **კლიენტი** ვალდებული რჩება დათქმულ დროში, სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად დროულად გადაიხადოს მიმდინარე შენატანი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მისთვის მინიჭებული უფლებებით, მათ შორის დაარიცხოს **კლიენტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე**, ამასთან **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის დადგენილი სანქციის, **საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ასევე მიმდინარე შენატანის, ზიანის/ზარალის ან/და **ბანკისთვის** გადასახდელი სხვა თანხები ჩამოწეროს **კლიენტის** ანგარიშებიდან უაქცეპტოდ 30 დღიანი ვადის გასვლამდეც ნებისმიერ დროს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **ბანკის** სასარგებლოდ უქცეპტო ჩამოწერის უფლების არსებობა არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს **კლიენტს** შესაბამისი გადასახდელებისა და გადასახადების **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადახდის ვალდებულების შესრულებისგან.

3¹.6. უარის თაობაზე პირველი შეტყობინების **ბანკისათვის** ფილიალში მისვლით ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში, **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს სრულად დასაფარი თანხის **ბანკისთვის** გადახდა ერთჯერადი დაფარვისა და **ბანკისთვის** მიმართვის გზით. **კლიენტის** მიერ უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის გადასახდელი თანხის სრულად დაფარვამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ განხორციელებული ნაწილობრივი შესრულებები მიიჩნიოს **კრედიტის** თანხის წინსწრებით დაფარვად და იმოქმედოს წინსწრების შემთხვევებისთვის **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** შიდა-პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. თუ **კლიენტმა** ასეთი წინსწრების შემთხვევებისთვის წინასწარ არ განუსაზღვრა **ბანკს** ახალი გრაფიკის **კანონმდებლობით** განსაზღვრული ალტერნატივები, **ბანკი** უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ახალი გრაფიკის ფორმირების თაობაზე. ამასთან, რეკოლვირებადი პროდუქტებით (მათ შორის

ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი) სარგებლობისას, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ხელშეკრულებაზე უარის დაფიქსირების შემდგომ 30 დღეში განხორციელებს ათვისებული თანხის მხოლოდ ნაწილის დაფარვას, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიჩნიოს აღნიშნული წინსწრებად/ლიმიტის შემცირებად. მიუხედავად აღნიშნულისა, **ბანკი** აგრეთვე უფლებამოსილია ნაწილობრივი შესრულებით მოახდინოს ლიმიტის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ განხორციელებული შენატანები საკმარისი აღმოჩნდება მიმდინარე შენატანის სრულად დასაფარად, კლიენტი დამატებით მიმართავს **ბანკს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით იმის თაობაზე, რომ მას სურს ლიმიტის შემცირება და არა **ხელშეკრულებაზე** უარის თქმა და მიმდინარე შენატანების დაფარვის შემდგომ დარჩენილი ფულადი სახსრები კლიენტის საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის ანგარიშზე **ბანკისთვის** ხელმისაწვდომი იქნება უარის თქმის უფლების თაობაზე პირველივე შეტყობინების განხორციელებიდან 30-ე დღის ამოწურვის შემდგომაც იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ლიმიტის შემცირების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. ასევე, საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის შემთხვევაში ათვისებული თანხის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით შესრულებული გადახდები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მიმდინარე შენატანის დაფარვად თუ აღნიშნული გადახდები შესრულებული იქნება **ხელშეკრულებით** შენატანის გადახდისთვის დადგენილი წესის სრულად დაცვით.

3^{1.7}. **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ გაცემული/ათვისებული თანხის და შესაბამისი გადასახდელების სრულად დასაფარად საკმარისი კლიენტის ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/და განთავსების შემთხვევაში, არ მოხდება **ბანკის** წინაშე ვალდებულების ავტომატურად დაფარვა და კლიენტის იცინიატივით **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის მიზნით ვალდებულების დაფარვა (მათ შორის, ნაწილობრივ გადახდის გზით) შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ყოველი ასეთი შესრულების/დაფარვის დროს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლიენტის მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

3^{1.8}. თუ კლიენტი არ უზრუნველყოფს **ბანკისათვის** პირველი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტისთვის ინფორმირების გარეშე: გააგრძელოს **ხელშეკრულება**, ასევე თანხის ნაწილობრივ ჩამოჭრის/დაფარვის შემთხვევაში, **ბანკის** გადაწყვეტილების შესაბამისად ასეთ თანხაზე იხელმძღვანელოს **კრედიტის** წინსწრებით დაფარვის პირობების შესაბამისად.

3^{1.9}. იმ შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლების რეალიზების პროცესში, ნებისმიერ დროს წარმოიშობა კლიენტის სხვა სახის დავალიანება (მათ შორის ვადამოსული ან/და ვადამოსვლელი) გარდა უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის შესასრულებელი ფულადი ვალდებულებებისა, **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტის მიერ განხორციელებული შესრულებებით (ან/და კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხის უაქცეპტო ჩამოჭრის გზით) პირველ რიგში დაფაროს ასეთი სხვა სახის დავალიანება, ხოლო შემდგომ უარის თქმის უფლების რეალიზების მიზნით **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები. კლიენტთა სიმრავლისას, ერთ-ერთი კლიენტის მიერ უარის თქმა წარმოშობს ანალოგიურ შედეგებს დანარჩენ კლიენტთა მიმართაც, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოზიციისა, თუ **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. გადასახდელი თანხები გამოანგარიშდება **ხელშეკრულებიდან** და **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული გადასახდელებისა და გადასახდებიდან, და არა კონკრეტული კლიენტის პროპორციიდან გამომდინარე, მათ შორის, **ხელშეკრულებიდან** ათვისებული თანხის, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დაფარვის ვადების, პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს შესაბამისად.

3^{1.10}. კლიენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შეწყვეტილად ითვლება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უარის თქმასთან დაკავშირებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.

3^{1.11}. **ხელშეკრულებაზე** უარის თქმით შეწყვეტით შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს ისეთი ხელშეკრულების გაუქმება, რომელიც დაიდო **ბანკთან** ან/და **მესამე პირთან** **ბანკისა** და **მესამე პირს** შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და უკავშირდება **ხელშეკრულებას**. კლიენტი **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, ამგვარად დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კლიენტს ან/და **მესამე პირს**. **ბანკი** უფლებამოსილია ინფორმირების მიზნით, ნებისმიერი ინფორმაცია ანდა დოკუმენტაცია გადასცეს კლიენტს ანდა **მესამე პირს**. გაუგებრობის გამოსარიცხად, ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის დაკავშირებულ ხელშეკრულებად არ განიხილება უზრუნველყოფის ხელშეკრულებები. ამასთან, კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ **მესამე პირსა** და კლიენტს შორის ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერ და ყველა მოთხოვნაზე/პრეტენზიაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარე (კლიენტი ან/და **მესამე პირი**) და არცერთ შემთხვევაში **ბანკი**, შესაბამისად აქედან გამომდინარე **მესამე პირის**, კლიენტის, მარეგულირებელი ორგანოს ან/და სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნები/პრეტენზიები უნდა წარედგინოს კლიენტს ან/და ასეთ **მესამე პირს** კონტექსტის შესაბამისად.

4 **ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები**

4.1 **მხარეთა** მიერ წინამდებარე **ოვერდრაფტის ხელშეკრულებაზე** თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან სხვა არხების საშუალებით) ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა და შესაბამისად დადებული ითვლება და ძალაში შედის **ხელშეკრულება**, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) **განაცხადი** (ასეთის

არსებობის შემთხვევაში); (ბ) წინამდებარე ოვერდრაფტის ხელშეკრულება; (გ) გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება; და (დ) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება მხარეთა შორის კრედიტის მოქმედების ფარგლებში

4.2 ოვერდრაფტის ხელშეკრულება, მასში განხორციელებული ცვლილებების ან/და დამატებების ჩათვლით, წარმოადგენს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას და თუ თავად გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, ტერმინთა განმარტებები, გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობის, მხარეთა პასუხისმგებლობის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა.

4.3 ოვერდრაფტის ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვით კლიენტი ადასტურებს, რომ: (ა) ის (კლიენტი) სრულად გაცნობილია და ეთანხმება ხელშეკრულების თავსართში, ოვერდრაფტის ხელშეკრულებაში მოცემულ ინფორმაციას, (ბ) ხელშეკრულება ითვლება დადებულიად და (გ) მისთვის მისაღებია კრედიტის თანხა, პროცენტი, მოქმედების ვადა, პირგასამტეხლოს, საკომისიოს მოცულობები და სხვა პირობები.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ქართულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარს უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში. ამასთან, კლიენტისთვის სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე კლიენტთან კომუნიკაცია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

4.5 წინამდებარე ოვერდრაფტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, ბანკი აცნობებს კლიენტს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4.6 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.7 ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

	ბანკი		კლიენტი
	-----		-----